



## მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასების სისტემა

### მოსწავლის შეფასებისას გასათვალისწინებელი აუცილებელი მიდგომები

შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის მოსწავლეების აკადემიური მიღწევების შეფასების სისტემა შეესაბამება ერთიანი ეროვნული სასწავლო გეგმის შეფასების სისტემას, რომელიც გამოიყენება მოსწავლეების აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად.

მოსწავლეები ფასდებიან სხვადასხვა ფორმით: ესსე, პროექტი, პრეზენტაცია, ცდა, ტესტირება, ექსპერიმენტი, ზეპირი და წერითი არგუმენტირებული მსჯელობა, ზეპირი გამოსვლა, წარმოდგენა, ფერწერული ან სხვა ტიპის ნამუშევარი და სხვა.

სკოლაში მოქმედებს 2 ტიპის შეფასება - განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

**განმავითარებელი** - I-IV კლასებში მოსწავლე არ ფასდება ქულებით. ამ კლასებში სემესტრის ბოლოსა და წლის ბოლოს კლასის დამრიგებელმა, საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, უნდა დაწეროს მოკლე, შემაჯამებელი წერილობითი შეფასება, რომელშიც დაახასიათებს მოსწავლეს, აღნიშნავს მის წარმატებებს და მიუთითებს, რაში სჭირდება მოსწავლეს გავარჯიშება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად.

**განმსაზღვრელი** - V-XII კლასებში მოსწავლე ფასდება 10 ქულიანი სისტემით.

- ❖ მოსწავლე ფასდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით საგნებში.
- ❖ V-XII კლასებში საგანში "სპორტი" მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა.
- ❖ საგანში „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა.
- ❖ დამატებითი სავალდებულო საგნების შეფასება არ იანგარიშება წლიური/საფეხურის ქულის გამოთვლისას.
- ❖ მოსწავლე "აბიტურის საათის" ფარგლებში შესაძლებელია შეფასდეს განმავითარებელი შეფასებით.

### 9.2 შეფასების კომპონენტები:

სემესტრის მანძილზე მოსწავლეები ფასდებიან სამი კომპონენტის მიხედვით:

- საშინაო დავალება;
- საკლასო დავალება;



➤ შემაჯამებელი დავალება.

შეფასების სამივე კომპონენტს ერთნაირი წონა აქვს.

❖ საშინაო და საკლასო დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება.

ქულები	შეფასების დონეები
10	მაღალი
9	
8	საშუალოზე მაღალი
7	
6	საშუალო
5	
4	საშუალოზე დაბალი
3	
2	დაბალი
1	

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასების შემდეგი სახეობები:

- ❖ საგნის მიმდინარე და შემაჯამებელი ქულები – საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი კომპონენტის ქულები, რომლებსაც მოსწავლე იღებს სემესტრის განმავლობაში;
- ❖ საგნის სემესტრული ქულა – საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში (სემესტრული გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში, გამოითვლება მისი გათვალისწინებით);
- ❖ საგნის წლიური ქულა – სემესტრული ქულებიდან გამომდინარე შეფასება საგანში. წლიურ ქულაში შეიძლება წლიური გამოცდის ქულაც აისახოს, თუ ასეთი გამოცდა გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით და სკოლის მიერ განსაზღვრულია, რომ მას გავლენა ექნება საგნის წლიურ ქულაზე;
- ❖ საფეხურის საერთო ქულა – ზოგადი განათლების რომელიმე საფეხურის (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) საერთო შეფასება.



- ❖ შემაჯამებელი დავალების კომპონენტში აუცილებელია განმსაზღვრელი შეფასების გამოყენება.
  - ❖ სკოლის საგნობრივი კათედრების სამუშაო გეგმების მიხედვით განისაზღვრება საგანში სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალურ რაოდენობას, რომლის სახეებადაც მიჩნეულია: თხზულება, მოხსენება, რეფერატი, პროექტი, ლაბორატორიული კვლევა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში და სხვ.);
- ❖ მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება;
  - ❖ თუ მოსწავლე არ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებელ სამუშაოს გაცდენის გამო, სკოლა ვალდებულია, მისცეს მას გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის საშუალება. შემაჯამებელი აღდგენითი სამუშაოს ვადა განისაზღვრება მოსწავლის სკოლაში გამოცხადებიდან 5 სასწავლო დღის ვადაში და მისი ჩატარების ფორმა განისაზღვრება საგნობრივ კათედრის სამოქმედო გეგმის მიხედვით.

თითოეული მასწავლებელი ვალდებულია, შეაგროვოს და შეინახოს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აღნიშნულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს: სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურებოდა კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდა ეს დავალებები; მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული სამუშაოს რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული სამუშაოს ამსახველი ვიზუალური მასალა; თითოეული კლასის მოსწავლეთა მიერ მიღებული ქულები.

**9.3 ქულების გამოანგარიშების წესი**

- საგნის სემესტრული ქულის გამოანგარიშების წესი:
  - ❖ მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში სამივე კომპონენტში (საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი) მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულების რაოდენობაზე;
  - ❖ მიღებული ქულა უნდა დამრგვალდეს მთელის სიზუსტით (მაგ., 6.15 მრგვალდება 6-მდე, 7.49 მრგვალდება 7-მდე, 8.5 მრგვალდება 9-მდე);
  - ❖ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არა აქვს შესრულებული ყველა შემაჯამებელი დავალება, მისი სემესტრული ქულის გამოსაანგარიშებლად სამივე კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულებისა და შეუსრულებელი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ჯამზე.



- საგნის წლიური ქულის გამოანგარიშების წესი:
- ❖ საგნის წლიური ქულის გამოსაანგარიშებლად საგნის სემესტრული ქულების ჯამი უნდა გაიყოს ორზე;
- ❖ საგნის წლიური ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით (მაგ., 7.25 მრგვალდება 7-მდე, 4.49 მრგვალდება 4-მდე, 9.5 მრგვალდება 10-მდე);
- ❖ თუ მოსწავლეს, სკოლიდან სკოლაში სემეტრის მიმდინარეობისას გადმოსვლის გამო, მოუხდება განსხვავებული საგნების სწავლა და მანამდე ნასწავლ საგანში საშინაო, საკლასო და შემაჯამებელ დავალებებში მიღებული აქვს შეფასება, რომლის საშუალო არითმეტიკული არის 5.0 ან მეტი, ეს ქულა დაუფიქსირდება ნასწავლი საგნის სემესტრულ/წლიურ ქულად (თუ საგნის სწავლება მეორე სემესტრში არ გრძელდება). ამასთან, სკოლა ვალდებულია შეაფასოს მოსწავლე ახალ საგანში, თუ ეს ესწრება სემესტრის დასრულებამდე.
- ❖ მოსწავლის მიერ სემესტრის დასრულების შემდეგ სკოლაში გადმოსვლის გამო, სკოლაში განსხვავებული საგნის სწავლის შემთხვევაში, განსხვავებული საგნების სემესტრული ქულები აღირიცხება, როგორც ორი დამოუკიდებელი საგნის წლიური ქულა. (მაგ. თუ მოსწავლე პირველ სემესტრში უცხოურ ენად სწავლობდა ფრანგულს, მეორე სემესტრში კი ფრანგულის ნაცვლად - გერმანულს, მაშინ ფრანგული ენის სემესტრული ქულა გადადის ფრანგული ენის წლიურ ქულად, ხოლო გერმანული ენის სემესტრული ქულა - გერმანული ენის წლიურ ქულად).
- საფეხურის საერთო ქულის გამოანგარიშების წესი:
- ❖ საფეხურის ქულის გამოთვლისას ჯამდება საფეხურის მანძილზე ნასწავლი ყველა საგნის წლიური ქულა და ჯამი იყოფა ქულების საერთო რაოდენობაზე;
- ❖ საფეხურის საერთო ქულა მრგვალდება მეთაედის სიზუსტით (მაგ., 6.43 მრგვალდება 6.4-მდე, 7.58 მრგვალდება 7.6-მდე).

#### 9.4 კლასისა და საფეხურის დამძლევი ქულები

- კლასი დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის თითოეული საგნის წლიური ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და მოსწავლეს მიღებული აქვს ჩათვლა V-XII კლასებში „სპორტსა“ და „საგზაო წესებსა და მოძრაობის უსაფრთხოებაში“, რაც აძლევს მას მომდევნო კლასში გადასვლის უფლებას.
- დაწყებითი საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დაძლეული აქვს V-VI კლასები, რაც აძლევს მას საბაზო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას.
- საბაზო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაძლეული აქვს საბაზო საფეხურში შემავალი ყველა კლასი, რაც აძლევს მას საბაზო განათლების ატესტატის აღების ან/და საშუალო საფეხურზე გადასვლის უფლებას.
- საშუალო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და



ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაძლეული აქვს საშუალო საფეხურში შემავალი ყველა კლასი, რაც აძლევს მას სკოლის გამოსაშვებ გამოცდაზე გასვლის უფლებას.

კლასის ან საფეხურის მინიმალური ბარიერის მიუღწევლობის შემთხვევაში, მოსწავლეს ენიშნება საშემოდგომო გამოცდა.

### 9.5 გამოცდის ტიპები

- სკოლაში ჩატარდება შემდეგი ტიპის გამოცდები:
  - ❖ სემესტრული გამოცდა;
  - ❖ საშემოდგომო გამოცდა;
  - ❖ ექსტერნატის გამოცდა (განისაზღვრება კანონმდებლობის შესაბამისად);
  - ❖ სკოლის გამოსაშვები გამოცდა (განისაზღვრება კანონმდებლობის შესაბამისად);.
- სემესტრული გამოცდა ინიშნება: იმ შემთხვევაში თუ მოსწავლე თვლის, რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის, მოსწავლის მშობელი სემესტრის დასრულებიდან 3 დღის ვადაში წერილობით მიმართავს სკოლის დირექტორს. დირექტორი ორი დღის ვადაში განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება-არდაშვების შესახებ, არდაშვების შემთხვევაში სკოლამ უნდა დაასაბუთოს გადაწყვეტილება. მოსწავლის გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა გამოითვლება შემდეგი წესით: გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე;
- სემესტრული გამოცდა ინიშნება სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს ორი კვირის ვადაში;

### საშემოდგომო გამოცდის ჩატარების პროცედურა განისაზღვრება შემდეგნაირად:

1. საშემოდგომო გამოცდის ჩატარების წესი და პროცედურა განისაზღვრება სასკოლო სასწავლო გეგმით.
2. საშემოდგომო გამოცდა უნდა ჩატარდეს სასწავლო წლის დასრულებიდან არაუადრეს ორი კვირისა და სასწავლო წლის დაწყებამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე.



3. საშემოდგომო გამოცდამდე მოსწავლეს უნდა მიეცეს არანაკლებ 2 კვირის ვადა მომზადებისთვის.

4.სკოლა ვალდებულია, გაუწიოს კონსულტაციები მოსწავლეს იმ საგანში/საგნებში, რომლებშიც მას დაენიშნა აღნიშნული ტიპის გამოცდა.

5.დირექტორის ბრძანების საფუძველზე მტკიცდება საგამოცდო კომისია.

6.კომისიის შემადგენლობაში შედის ადმინისტრაციიდან კათედრის ხელმძღვანელი და ერთი ან ორი პედაგოგი.

7.სემესტრის დასრულებამდე ერთი თვით ადრე თუ მოსწავლის მიმდინარე ქულა არ აღემატება 5,0 მშობელს/მეურვეს უნდა ეცნობოს წინასწარ. ასევე, თუ საგნის წლიური ქულა არის 5,0 და საგამოცდო 5.0 - ზე უფრო დაბალი, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მშობელს /მეურვეს საშემოდგომო გამოცდის ჩატარების თარიღისა და ფორმატის შესახებ.

8.კლასის დამრიგებელი შეატყობინებს ტელეფონით ან ელ. ფოსტით მშობელს /მეურვეს, რომელიც ვალდებულია გამოცხადდეს სკოლაში მოსწავლესთან ერთად, მშობელი/მეურვე მიიღებს წერილობით შეტყობინებას - გაფრთხილებას, რასაც დაადასტურებს ხელმოწერით.

9.საგნის პედაგოგი ვალდებულია მოსწავლეს ჩაუტაროს კონსულტაცია საჭიროებისამებრ 10 დღის განმავლობაში.

10.გამოცდის ტიპს განსაზღვრავს საგამოცდო კომისია დირექტორთან შეთანხმებით.

11.პროცესის აღრიცხვას აწარმოებს ადმინისტრაცია, ხარისხის მართვის სამსახური.

12. კომისიის წევრი გამოხატავს და აფიქსირებს საკუთარ მოსაზრებებს.

❖ თუ მოსწავლე საგნის/საგნების წლიურ შეფასებას მიიღებს საშემოდგომო გამოცდის საფუძველზე (საშემოდგომო გამოცდის ქულა გახდება საგნის წლიური ქულა).

❖ თუ სკოლის მოსწავლეს საშემოდგომო გამოცდა დაჭირდება სამზე მეტ საგანში, ის აღარ დაიშვება საშემოდგომო გამოცდებზე.

*სკოლაში მოქმედებს შეფასების რუბრიკები, რომლებიც შექმნილია შეფასების ქვე-კომპონენტების შესაბამისად. (იხ.საგნობრივი კათედრების პორტფოლიოებში)*



**9.6 გაცდენები**

- მოსწავლეთა გაცდენები, მათ შორის აბიტურის გაცდენები, აღირიცხება მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალში. გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი. თითოეული მასწავლებელი ვალდებულია გაკვეთილის დასაწყისში აღრიცხოს მოსწავლეთა დასწრება
- თუ საბაზო-საშუალო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე. მოთხოვნა არ ვრცელდება აბიტურის საათის გაცდენის შემთხვევაში; ასევე იმ შემთხვევაში, თუკი მოსწავლე აღადგენს კონკრეტულ საგანში გაცდენილ შემაჯამებელ დავალებას.
- სკოლა შინ სწავლების რეჟიმზე გადაიყვანს იმ მოსწავლეებს, რომლებსაც სჭირდებათ მკურნალობა ერთ თვეზე მეტი ვადით და აღნიშნული ცნობილი ხდება სკოლისათვის სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში მოსწავლეზე, შინ სწავლებაზე გადასვლის მომენტიდან, არ ვრცელდება კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% გაცდენის შემთხვევაში ექსტერნის გამოცდაზე გასვლა.
- იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ საერთაშორისო სასპორტო და სახელოვნებო ღონისძიებებში, აგრეთვე საერთაშორისო და ეროვნულ საგნობრივ ოლიმპიადებში, სკოლის გაცდენის შემთხვევაში მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, სკოლის დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% გაცდენის შემთხვევაში ექსტერნის გამოცდაზე გასვლა არ გასვლის შესახებ.
- ექსტერნატის გამოცდით ზოგადი განათლების მიღების წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით.
- ექსტერნატის გამოცდას, გარდა იმ პირობისა, რომლებიც ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების პროგრამებს ძირითადად დამოუკიდებლად ძლევენ და ექსტერნის გამოცდას აბარებენ შესაბამისი განათლების დასადასტურებლად, რაც მათ შემდეგ კლასში/საფეხურზე სწავლის გაგრძელების ან საბაზო/საშუალო განათლების ატესტატის მიღების საშუალებას მისცემს, აბარებენ აგრეთვე ის მოსწავლეები, რომლებზედაც გავრცელდა კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30%-ზე მეტის გაცდენის გამო ჩასაბარებელი ექსტერნის გამოცდა.
- სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - სრული ზოგადი განათლების ატესტატის მისაღებად მოსწავლემ სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე უნდა მიიღოს დადებითი შეფასება;
- სკოლის გამოსაშვები გამოცდის ჩატარების ვადები, წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით;
- სკოლის გამოსაშვებ გამოცდაზე გასვლის უფლების მოსაპოვებლად მოსწავლეს დამლეული უნდა ჰქონდეს საშუალო საფეხური.

**9.7 ზოგადი განათლების სხვადასხვა საფეხურების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტები**

- ზოგადი განათლების სხვადასხვა საფეხურების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტების ტიპები და მათი გაცემის წესი



განისაზღვრება კანონმდებლობით;

**9.8 მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება**

- მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულაა 10 დამრგვალების გარეშე და მიიღებს დადებით შეფასებას სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე, იღებს სრული ზოგადი განათლების ოქროს მედალოსნის ატესტატს.
- მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულა არის 9.8 ან მეტი და მიიღებს დადებით შეფასებას სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე, იღებს სრული ზოგადი განათლების ვერცხლის მედალოსნის ატესტატს.
- პირზე, რომელმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის კლასის/კლასების, ან საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამა/პროგრამები წარჩინებით დაძლია ექსტერნატის გამოცდა, ოქროსა და ვერცხლის მედალოსნის ატესტატი არ გაცივმა.

**9.9 სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები**

- სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება ხდება იმავე პრინციპით, რომლითაც ხდება ნებისმიერი სხვა მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება. თუ სსსმ მოსწავლე განათლებას იღებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, ფასდება მის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის დონე. სსსმ მოსწავლე, რომელიც წარმატებით სძლევს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, ფასდება მაღალი ქულით.
- სსსმ მოსწავლისთვის სემესტრული, წლიური და საფეხურის საერთო ქულების გამოანგარიშება ხდება იმავე პრინციპით, როგორც სხვა მოსწავლეებისთვის;
- გამონაკლისის შემთხვევაში დასაშვებია სსსმ მოსწავლეს არ ქონდეს სემესტრული შეფასება ერთ ან რამდენიმე საგანში. გამონაკლისი დაიშვება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. გამონაკლის შემთხვევაში მოსწავლის საგნის სემესტრული ქულა წარმოადგენს საგნის წლიურ ქულას. თუ სსსმ მოსწავლე რომელიმე საგანში მოცემულ სემესტრში არ ფასდება, ეს ხელს არ უშლის მას გადავიდეს მომდევნო კლასში.
- თუ სსსმ მოსწავლეს აქვს მოწყვლადი ჯანმრთელობის მდგომარეობა და არსებობს ამის დამადასტურებელი საბუთი მის პირად საქმეში, სსსმ მოსწავლის მიმართ არ ვრცელდება კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30%-ის გამო ექსტერნის გამოცდა.